№ 61
შაბათი, 17 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 61
შაბათი, 17 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

შაბათს, 17 მარტს,

უკანასკნელი გასტროლი ქუთაისის დრამატიულის დასისა **ვლ. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით და გამგებლობით წარმოდგენილი იქმნება

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილის მიერ

ფრანც მოორის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ამალიას— ნ. ჩხეიძე, კარლოსს— თუთბერიძე და პეტერს—გედევანოვი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე

ქართული თეატრი

კვირას, 18 მარტს, მომღერალ არტისტის

ფილიმონ ქორიძის მიერ

გამართულ იქმნება

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი ქალი **ევგ. ბ. სარაჯიშვილი**, ფორტე-პიანოზე დამკვრელი ქალი **ეკ. ბ. სარაჯიშვილი**, მომღერალი არტისტი **ი. ბ. კარგარეთელი**, ახლად **შედგენილი ქორიძის მიერ ქართული ხორო** და თვითონ **ქორიძე**. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურს, იმერულს, გურულსა და მეგრულს სიმღერებს. კონცერტიდგან შემოსული ფული მოხმარდება ქართულის მუსიკის ბეჭდვისა და ალორძინების საქმეს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.**

(3—უ.—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან:

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავ. ზურაბ ადამის ძის ანდრონიკაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ოთხას ორმოც და ათის (450) მანეთის, შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული თავ. ანდრონიკაშვილის, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით— 9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტრო-

ფელეტონი

უცხოთა შორის

როგორ იქცევიან ევროპიელნი და ამერიკელნი ჩინეთში.—ჩინელის ლექცია ჩინეთის შესახებ.—მოძრავი წიგნთ-საცავები ამერიკაში და ბავშვთა რესპუბლიკა.—დრამატურგთა სკოლა ამერიკაში და ჯვარის წერა სიკვდილის შემდეგ.—ჰიპნოტიზმი. — ამერიკელთა სანაძლეო.

მხოლოდ ეხლა აშკარავდება, რაოდენი სიმდიდრე, ძვირფასი ქვები და ნივთები გაზიდეს პეკინიდგან წეს-რიგის დასამყარებლად და „ცივილიზაციის გასავრცელებლად“ ჩინეთში შესეულმა უცხო-ქვეყნელებმა. პირველად „ცივილიზაციის გამავრცელებლებმა“ ტიან-ძინს აუგეს ანდერძი და ლაზათიანად მოითბეს ხელი ადგილობრივ მცხოვრებთა მოძრავ ქონებაზედ. როდესაც მოკავშირეთა ჯარმა ტიან-ძინი ჩინელებისაგან გაანთავისუფლა, ევროპიელნი და ამერიკელნი კალიასავით მოედვნენ ქალაქს: სახლი არ გაუშვეს გაუჩხრეკელი და გაუძარცველი; ეზიდებოდნენ ყველაფერს: ოქრო ვერცხლს, თვალ-მარგალიტს, ფარჩას, აბრეშუმს, ძვირფას ქვებსა და ნივთებს. ამ სამარცხვინო საქმეში კერძო კაცებს გარდა თვით ჯარის-კაცნი და აფიცერნიც იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას.

მალე ტიან-ძინზედ უარესი დღე პეკინს დაადგა. მოკავშირეთა ჯარი ჩინეთის დედა-ქალაქში 1 აგვისტოს შევიდა. მეორე და მესამე დღე მოკავშირეებმა ქალაქის უბნებად დაყოფასა და ერთმანეთში დანაწილებას მოანდომეს, ხოლო შემდგომი დღეები და კვირეები—ამ უბნების ჩხრეკა-ძიებას და სახლებში ნაპოვნ სიმდიდრის გადაზიდვა-გაკრეფას. იმ უბანში, რომელიც ერთის რომელისამე სახელმწიფოს ჯარსა ჰქონდა მიჩენილი თვალ-ყურის სადევნებლადა და „მოსავლელად“, მეორე სახელმწიფოს ჯარის-კაცს არ შეეძლო თურმე შესვლა. ინგლისელებმა, ფრანგებმა, იაპონელებმა და სხვებმა თავ თავიანთ უბნებს დარაჯები შემოარტყეს, ხოლო სახლების თავებზედ დროშები ამართეს. „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, ნათქვამია, ხოლო ისეთ საქმეში, როგორც ძარცვა-გლეჯა და ქურდობაა, ორკეცი სიფრთხილეა საჭირო, და მოკავშირენიც უთუოდ ამიტომ უფრთხილდებოდნენ და უვლიდნენ ასე მუყაითად თავიანთ უბნებს.

პირველად იაპონელებმა მიჰყვეს „საქმეს“ ხელი. როგორცა სჩანს, იაპონელები ბევრსა სცდილობენ, რომ თავიანთ მასწავლებლებს, ევროპიელებს, არასფერში ჩამორჩნენ. ოთხ აგვისტოდგანვე შეუდგნენ ისინი ოქრო-ვერცხლის ვირებით ზიდვას ჩინეთის ფინანსთა სამინისტროს სადგომიდგან. მთელი სამი დღე მოუნდნენ თურმე ამომავალის მზის სახელმწიფოს შვილნი ამ საქმეს. როგორც ეხლა გაზეთები გადმოგვცემენ, სამ დღეში იაპონელებს რამდენიმე მილიონ მანეთის ოქრო ვერცხლი გადაუზიდნიათ თავიანთ საკუჭნაოებში, ხოლო იქიდგან იაპონიაში. იმავე იაპონელებმა 8 აგვისტოს მდიდარ თოფხანასაც მიაგნეს: გაიტანეს იქიდგან ახალ-ახალი საუკეთესო სისტემის თოფები, რევოლვერები, უნაგირები, კარვები და სხვა ნივთები და იარაღი. მალე ქუჩებში საჯარო ვაჭრობაც გაიმართა: ჰყიდდნენ თოფხანიდგან გატანილ ნივთებს. „მეორე და მესამე დღეს,—სწერს ერთი გაზეთი,—პეკინის ქუჩები ტარტარენ ტარასკონელებით აივსო. ამ ვაჟბატონებს ზედ ეკიდათ გროშის ფასად შეძენილი იარაღი: თოფები, ხმლები, რევოლვერები, დამბაჩები და ისე დადიოდნენ, თითქოს ტარტარენივით ლომებს დაეძებენ ამოსაქლეტადაო“.

იაპონელებს არც ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები და სხვები ჩამორჩნენ. მთელი ერთი კვირა ქუჩებში ჭრიალი გაჰქონდა თურმე ძვირფას ნივთებითა და საქონლით დატვირთულ ურმებს. გამოჰქონდათ ეს ძვირფასი ნივთები და საქონელი სასახლეებიდგან, მაღაზიებიდგან, დუქნებიდგან და მცხოვრებთა სადგომებიდგან. ბევრგან მთელი გორები დადგეს ამ ნივთებისა. ღირს საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოპარულ ნივთებს თვით ჩინელებსავე აზიდვინებდნენ და თვით იმათვე აბამდნენ დატვირთულ ურმებში.

* * *

ყველა ამის შემდეგ ძნელი მოსალოდნელია, რომ ჩინელებმა ევროპიელებს თვალები დაუკოცნონ და გულ-წრფელი მეგობრობა გაუწიონ. თუმცა ევროპიელი მისიონერები გულ-მოდგინედ უქადაგებენ ჩინელებს ქრისტეს სიტყვებს: „ერთ ლოყაში რომ სილა შემოგკრას ვინმემ, მეორეც მიუშვირეო“, მაგრამ, როგორც ამას წინად ჩინეთის ელჩს ვუ-ტინ-ფუს უთქვამს, არსად მოიპოვება დღეს ისეთი კაცი, რომელმაც ნებაყოფლობით სხვას თავი გაატყეპინოს და ორივე ლოყა მიუშვიროს დასაკრავად.

მეტად საყურადღებო ლექცია წაუკითხნია ამერიკაში ხსენებულ ელჩს ვუ-ტინგ-ფუს. ლექტორს უმთავრეს საგნად ჩინელთა სარწმუნოება აუღია, მაგრამ ევროპიელთა შესახებაც ბევრი საგულისხმო რამ უთქვამს. „ჩვენში ყველაზედ მეტად კონფუცის მოძღვრებაა გავრცელებული,—უთქვამს ელჩს.—კონფუციონიზმი უფრო ცოცხალთა სარწმუნოებაა, ტაოტიზმი და ბუდიზმი კი—მიცვალებულთა სარწმუნოება. მაგრამ ამისდა მიუხედავად მიცვალებულის დასაფლავების დროს ჩინელი სამივე სარწმუნოების მღვდლებს იწვევს ხოლმე. ჩინელნი პრაქტიკის ხალხია: რადგანაც არ იციან, სიკვდილის შემდეგ კაცს რა მოელის, სიცოცხლეში თადარიგს იჭერენ და დასაფლავების დროს სხვა-და სხვა სარწმუნოების მღვდლებს იწვევენ, რომ ერთ ერთის მადლმა მაინც გასჭრას. კონფუციონიზმი არაფერსა ჰპირდება კაცს სიკვდილის შემდეგ, არც ჯილდოს, არც სასჯელს და არც სხვა რამეს. კონფუცი ამბობს: „თუ ის არ ვიცით, ცხოვრება რა არის, საიდგან გვეცოდინება, რა არის სიკვდილი? ერთსაცა და მეორესაც საიდუმლოების ფარდა აქვს ჩამოფარებული, რომლის ახდაც კაცს არ ძალ უძსო“.

„ქრისტესავით კონფუციც ამბობს, რომ პირველი სათნოება სიყვარულია სიმართლისა და ჭეშმარიტების მიმართ. მაგრამ სახარებაში ისიცაა ნათქვამი, მარჯვენა ლოყაში რომ შემოგკრას ვინმემ, მარცხენაც მიუშვირეო; წამოსასხამი რომ მოგხსნას ვინმემ, პერანგიც გაიხადე და მიეციო. ჩემის აზრით, არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელიც ასე იქცეოდეს. ის კაცი, რომელიც სილას შემოგკრავთ, ცუდად მოიქცევა, ხოლო თუ თქვენ მეორე ლოყასაც მიუშვერთ და ამ რიგად მეორედ სილის შემორტყმის შეძლებას მისცემს, ამ კაცის ცუდ საქციელსა და დანაშაულს გააორკეცებთ. ის, ვინც წამოსასხამს მოგტაცებთ, ქურდია, ხოლო ქურდებს არსად თავისუფალ მოქმედების ნებას არ აძლევენ. არა მგონია ისეთი ქრისტიანი მოიძებნებოდეს სადმე, რომელმაც მეზობელს ორჯელ შემოარტყმევინოს სილა.

„კონფუცი, ისევე, როგორც ქრისტე, სიყვარულსა და მტერთა პატივებას ჰქადაგებს. მეტად კარგი სიტყვებია ეს სიტყვები; მაგრამ განა ქრისტიანენი საქმით ასრულებენ? „გიყვარდეთ მტერნი თქვენნიო“... ამბობს სახარება, ქრისტიანეთა მისიონერნი-კი ეხლა შურის-ძიებასა ქადაგებენ და სისხლსა თხოულობენ. ჩვენი იმპერია სავსეა ეხლა ქრისტიანეთა ჯარებით. მეომარნი უწყალოდ ხოცავენ ჩინელებს, დამნაშავესა და უდანაშაულოს, დიდსა და პატარას,

ტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რიგვა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ოლ. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 17 მარტს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, გამართული იქმნება ქართული წარმოდგენა განსვენებულ პოეტის რაფიელ ერისთავის სახსოვრად. წარმოადგენენ რ. ერისთავის სამ-მოქმედებიან კომედიას „ადვოკატებს". წარმოდგენის შემდეგ დივერტისმენტი იქმნება გამართული. წაიკითხავენ განსვენებულის რამდენსამე ლექსსა და სცენას. წაკითხულ იქმნება აგრეთვე პოეტის მოკლე ბიოგრაფია.

⁂ გუშინ წინ, 15 მარტს, თავად-აზნაურთა თეატრში ქუთაისის დრამატიულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი". მესხიშვილმა ამ სალამოთიც, როგორც ყოველთვის, ნიჭიერად ჩაატარა თავისი როლი. კარგად შეასრულეს აგრეთვე ოფელიას როლი ნ. ჩხეიძემ, ხოლო პოლონიუსისა გედევანოვმა. ხალხი ბევრი დაესწრო წარმოდგენას. დღეს, 17 მარტს, ესევე დასი წარმოადგენს შილლერის დრამას „ყაჩაღებს". ფრანც მოორის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ამალიასას—ნ. ჩხეიძე, ხოლო კარლოს მოორისას—თუთბერიძე.

⁂ ფინანსთა მინისტრს აზრადა აქვს შეიტანოს სახელმწიფო საბჭოში მოხსენება ქარხნებთან პროფესიონალურ სკოლების დაარსების შესახებ.

⁂ ამას წინად პარიჟში ნოტრდამ დე პარი პიზონს დაუბეჭდია ფრანგულ ენაზედ ერთი წიგნი. ავტორი თავის წიგნში ეხება იმ ხალხებს, რომელნიც უწინ, იერუსალიმს მიდიოდნენ მაცხოვრის საფლავის თაყვანის საცემად. ამ აღწერაში მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველთა ძველ ცხოვრებას, მათ მგზავრობას წმიდა ადგილებში და იქ შესანიშნავ ნაშთების აღდგენას.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება უკვე შეუდგა მომავალ სექტემბერს ტფილისში განზრახულ კავკასიის მებაღეთა კრების მოწყობის საქმეს. განყოფილებამ სთხოვა სხვა-და-სხვა დაწესებულებათ, დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი კრებაზედ დასასწრებლად, ამასთან განყოფილებამ ზოგიერთ სექციათა თავმჯდომარენი უკვე ამოირჩია. სხვათა შორის მეფუტკრეებისა და თაფლიან მცენარეთა სექციის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ს. პ. გლაზენაპი, რომელმაც თანხმობა განაცხადა კიდეც.

⁂ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს კავკასიის სააბრეშუმო სადგურისათვის დაბა თუაფსეში თუთის სანერგე გამართოს ისეთი, როგორიც ამ ჟამად ქ. სოხუმში არსებობს.

⁂ დღეს, 17 მარტს, სალამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება, რომელზედაც ს. მ. არწრუნი წაიკითხავს რეფერატს: „პატიოსნებისა და უფლების აღდგენა რუსეთის კანონმდებლობით".

⁂ კავკასიის 1-ლ დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ტომკეევი დანიშნულ იქმნა ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის უფროსად.

⁂ მიწად-მოქმედების მინისტრს დაუმტკიცებია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც გადადებულია 79,977 მან. აქედგან კომიტეტის მოსამსახურეთა შესანახი ხარჯია 27,380 მანეთი, იარაღები და მასალები – 2,520 მან., საქარის სანერგეს შესანახად—11,077 მან., ქორეისუბნის—9,200 მან. და სხვა.

⁂ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას შეუმუშავებია ახალი ნიხრი ამავე გუბერნიის სახაზინო ტყეებში ხე ტყის გაყიდვისა.

⁂ ტფილისის „ცენტრალი წიგნთა მაღაზია" შესდგომია კავკასიის გამოკვლევათა გამოცემის საქმეს. პირველ გამოცემაში დაბეჭდილი იქმნება ე. გ. ვეიდენბაუმის წერილები. („ახ. მიმ.").

⁂ 19 მარტს ქალაქ განჯაში, ტფილისისა, ბაქოსა და განჯის გუბერნიების ბეითალთა კრება მოხდება. კრებამ უნდა შეიმუშაოს წესები საქონლის საძოვარზედ გარეკისა, საქონლის დადაღვისა და საქონლის ჭირის მოსპობის შესახებ.

⁂ ამიერ-კავკასიის საერობო გზათა შესაკეთებლად ამა 1901 წლისათვის გადადებულია 291,615 მან. აქედგან ტფილისის გუბერნიის გზათათვის 69,695 მან. და ქუთაისისა—55,484 მან.

⁂ ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გლეხთათვის სახლების აგების პროექტი, რომელიც შეიმუშავა დაზარალებულთა დამხმარებელმა მთავარმა კომიტეტმა, ტფილისის გუბერნატორმა კავკასიის უმაღლესს მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუჰგალტერიის უფროსი ანგარიშის მწარმოებელი დ. გ. სარქისოვი დანიშნულ იქმნა ამავე გზის საპენსიო კასის საქმის მწარმოებლად.

⁂ ტფილისის საქიმიო ლაბორატორიის გამგეს მოხსენება წარუდგენია ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსათვის ქალაქში რძესა და მეწველ საქონელზედ მეთვალ-ყურეობის დაწესების შესახებ.

⁂ ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქის წყლის მილი, წმინდა წყლის მაგივრად, რაღაც ამღვრეულ წყალს იძლეოდა. ამის მიზეზი, როგორც წყლის მილის გამგემ ბ-ნმა ქურდიანმა აღმოაჩინა, ის ყოფილა, რომ წყლის საწმენდი ჭურჭლები (ფილტრები) კაი ხანია თურმე არ გაუწმენდიათ. ამ კვირაში აპირებენ ფილტრების გასუფთავებას.

⁂ 15 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობაში მეეტლეთა საზოგადო კრება მოხდა. კრებამ ამოირჩია მეეტლეთა მამასახლისად ს. რუმიზოვი და მის თანაშემწედ ა. ლოსკუტოვი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ნება დართონ სოხუმში დაარსებულ იქმნას „კავკასიის სამთო კლუბი".

⁂ 14 მარტს, ქ. ტფილისის გამგეობასა და საფინანსო კომისიას სხდომა ჰქონდათ მე-3 საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ მოსალაპარაკებლად. გამგეობამ დაადგინა გადასდოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის.

⁂ კავკავი. ამას წინად კავკავის ბაზარში ერთის ქიშტის დედაკაცის საზარელი და ბარბაროსული მკვლელობა მოხდა. საქმე ასე ყოფილა: დედაკაცს, რომელიც მოჰკლეს, ჰბრალდებოდა თურმე, ქმარი თავათ მოჰკლაო. ამის გამო მაზლები ფარულად თურმე სდევნიდნენ, რომ რძალი მოეკლათ როგორმე და ძმის სისხლი აეღოთ. ამნაირად, ერთ ბაზრის დღეს, საათის ორზედ, მისცვივდნენ თურმე საბრალო დედაკაცს გამხეცებული მაზლები ხანჯლებით, მოსჭრეს მარცხენა ხელი და ფეხი, გაუჩეჩეს თავი, გამოსჭრეს გული და გაიქცნენ, მაგრამ ქიშტები მალე შეიპყრეს და დაპატიმრეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა გადასცა პოლიცმეისტერს განსახილველად ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი პროექტი სავალდებულო დადგენილებათა დუქან-ბაზრების მოწესრიგების შესახებ. პოლიცმეისტერმა, განიხილა-რა ეს პროექტი, წარუდგინა ქალაქის საქ-

---

ქალსა და კაცს, ართმევენ მათ ყველაფერს, რის წართმევაც-კი შეიძლება.

„განა ვერა ჰხედავთ, რა დიდი უფსკრულია ქრისტეს მოძღვრებისა და ცხოვრების შორის. ვინ ასრულებს ამ მოძღვრებას? ქრისტიანენი სიტყვით ამბობენ,—„ბოროტს სიკეთით მიუზღეო", მაგრამ გაგიგონიათ ან გინახავთ სადმე, რომ კაცს თავის დედმამის მკვლელი სახლში შეეპატიენოს? სახარების ამ სიტყვების ნაცვლად კონფუცი ამბობს „სიკეთეს სიკეთით მიუზღე, ხოლო სიბოროტეს, შეურაცხებას—მართლმსაჯულებითაო".

ვუ-ტინგ-ფუს ბევრი ულაპარაკნია ქრისტეს მოძღვრებისა და ქრისტიანეთა ყოფა-ქცევის შესახებ, დასასრულ შეუქია ჩინელთა მშვიდობისა და შრომის მოყვარეობა. „კონფუციონიზმმა დაიპყრო იაპონია და კორეია სიტყვითა და კეთილის საქმით და არა ცეცხლითა და მახვილით, როგორც ეხლა მისიონერები სცდილობენ ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებასაო".

დამსწრე საზოგადოებას ხანგრძლივი ტაშის ცემით დაუჯილდოვებია ლექტორი.

⁂

ამ ბოლოს დროს ამერიკაში ძალიან გავრცელდა ეგრედ წოდებული მოძრავი წიგნთ-საცავები. პირველად ასეთი წიგნთ-საცავი მელვილ დევეიმ შემოიღო 1892 წელს. დევეი ნიუ-იორკის წიგნთ-საცავის გამგეა. რადგანაც სოფლებიდგან ხშირად თხოულობდნენ წიგნებს, დევეიმ მოაწყო პატარ-პატარა წიგნთ-საცავები (თითო ას-ას ტომს შეიცავდა) და ნახევარის წლით სოფლებში გაჰგზავნა. მალე ეს საქმე ისე გაძლიერდა, რომ მოძრავი წიგნთ-საცავები სხვა ქალაქებმა, შტატის მთავრობებმა და კერძო კაცებმაც გამართეს. დღეს მარტო კერძო კაცთა მოძრავი წიგნთ-საცავი ამერიკაში 1000-ზედ მეტია. ამ საქმის წარმატებას განსაკუთრებით ქალებმა შეუწყეს ხელი. ნიუ-ჯერსეიში ქალთა კავშირმა თითქმის ძალად გადაადებინა ფული შტატის მთავრობას მოძრავ წიგნთ-საცავის გასამართავად. სხვა შტატებში ქალთა კავშირებმა თავიანთ ხარჯით გამართეს. ქალთა კლუბები კალიფორნიასა, იდახოსა, ნებრასკსა, კანზასსა, ილინოისა, მისსურისა და სხვა შტატებში გულით სცდილობენ ასეთის წიგნთ-საცავების შემწეობით მიაწოდონ საკითხავი მივარდნილ ადგილებში მყოფ მადნების მუშებს, ზღვაოსნებს, გლეხებს და სხვათა. ბევრგან განსაკუთრებული საზოგადოებანი და ამხანაგობანიც-კი დაარსდა ამ გვარ წიგნთ-საცავების გასამართავად.

ამერიკაში, საზოგადოდ, ახალ საქმეს მალე აღმოუჩნდებიან ხოლმე მიმბაძველნი. 1895 წელს უილიამ ჯორჯმა ნიუ-იორკის შტატში დაარსა „ბავშვთა რესპუბლიკა" და ეხლა ამ გვარის რესპუბლიკების დაარსებას სხვაგანაც შეუდგნენ. ჯორჯმა შეიძინა მიწა, ააშენა სახლები, მოაწყო სახელოსნოები, შემდეგ მოკრიბა ბავშვები (8—15 წლისა) და დაასახლა იქ. ბავშვებს თვითმართველობა აქვთ მინიჭებული, აქვთ პარლამენტი, სასამართლო, სატუსაღო და სხვა. პატარა რესპუბლიკის წევრნი კონსტიტუციის ძალით განაგებენ ყოველსავე შინაურ საქმეს. დღემდე ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად თვით ჯორჯი იყო, მაგრამ ბავშვებმა საქმე ისე კარგად წაიყვანეს, რომ პრეზიდენტმა ეხლა თანამდებობას თავი მიანება და სრული თვითმართველობა მიანიჭა რესპუბლიკას. მეტად გონიერულად იქცევიან თურმე ბავშვები: გულმოდგინედ მუშაობენ, სწავლობენ (მასწავლებელნი კლასებში სწავლების გარდა არავითარს საქმეში არ ერევიან) და სხვა-და-სხვა შინაურ საქმეებსაც არიგებენ.

სხვათა შორის, ამ უცნაურ რესპუბლიკის მოქალაქეებს ამას წინად გადაუწყვეტიათ ერთი საკითხი, რომელიც ქალთა საარჩევნო უფლებას შეეხებოდა. რადგანაც პირველად რესპუბლიკაში ვაჟები შევიდნენ, ქალებს საარჩევნო უფლება არა ჰქონდათ: ქალები მხოლოდ მაშინ შევიდნენ „რესპუბლიკაში", როდესაც ვაჟები უკვე მოეწყვნენ. ესეც კია, პირველ ხანს პატარა ქალები არა თხოულობდნენ უფლებათა გათანასწორებას, მხოლოდ შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ იმათაც გადასახადს ართმევენ, იმათგანაც თხოულობენ კანონისა და რესპუბლიკის დევიზის—„არაფერი უშრომლად"—აღსრულებას, ქალებმა ხმა აღიმაღლეს და საარჩევნო უფლებანი მოითხოვეს. უფრო გამბედავმა და ცხარე წევრებმა მალე პეტიციაც შეადგინეს, მოაწერინეს ხელი ქალებს ამ პეტიციაზედ და საკანონმდებლო საკრებულოს მიართვეს. ცხარე, მეტად ცხარე კამათი გაიმართა საკრებულოში ამ პეტიციის გამო. პატარა ქალებმა მიტინგები და კრებები გამართეს, მრავალი სიტყვები წარმოსთქვეს. საკანონმდებლო საკრებულოს შემდეგს სესსიაში ხელ-ახლა აღძრეს ეს საგანი და ბოლოს გადასწყვიტეს კიდეც ქალების სასარგებლოდ. პირველ ხანს ქალებს მხოლოდ ხმის უფლება მიანიჭეს, მაგრამ ამავე დროს აღკრძალული ჰქონდათ რესპუბლიკის ადმინისტრაციაში რომელისამე თანამდებობის მიღება. ბოლოს ეს უსამართლობაც მოსპეს. დღეს ქალებსა და ვაჟებს თანასწორი უფლებანი აქვთ, ასე რომ ამას წინად ერთი პატარა ქალი ვიცე-პრეზიდენტადაც-კი აურჩევიათ.

⁂

ამ გვარ რესპუბლიკის დაარსება ამერიკელების გარდა სხვა ვისმეს ძვირად თუ მოუვა აზრად. საზოგადოდ ამერიკელი უკან არ დაიხევს ერთხელვე განზრახულ აზრის სისრულეში მოსაყვანად, რაც უნდა უცნაური და გასაკვირველი იყოს ეს აზრი. ამას წინად ამერიკაში დაუარსებიათ, მაგალითად, დრამატურგთა სკოლა. ამერიკელებს სჯერათ, რომ სწავლითა და მეცადინეობით კაცი ყველაფერს შესძლებს, ამიტომ იმედი აქვთ, რომ ეს ახლად დაარსებული სკოლა თუ შექსპირებსა და შილლერებს არა, ჰაუპტმანებსა და ზუდერმანებს მაინც მოუმზადებს შეერთებულ შტატებს.

სკოლაში მოსწავლეებს დრამებისა, კომედიებისა და სადრამო ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა შედგენასა და შეთხზვას ასწავლიან. ამერიკა დრამატურგებით საზოგადოდ ღარიბია; არც ერთი დიდად ნიჭიერი დრამატურგი ამერიკას ჯერ არა ჰყოლია. თეატრში უმთავრესად ევროპიელ, უფრო ფრანგ და გერმანელ, დრამატურგთა პიესებს ადგენენ. აი ამ ნაკლის თავიდგან ასაცილებლად და საკუთარ დრამატურგთა მოსამზადებლად დააარსეს ამერიკელებმა სკოლა.

სწავლის ვადა ახალ სკოლაში ორი წელიწადი იქმნება. პირველად მოსწავლეებს ცოტა რამეს გააგებინებენ „დრამატიულ ფაბრიკაციის" შესახებ: ასწავლიან, მაგალითად, როგორ უნდა ისარგებლოს ავტორმა კომედიებისა და დრამების შედგენის დროს იუმორისტულ ჟურნალებით, რომანებით, მოთხრობებით და სხვ. შემდეგ სცენის მოწყობილებას გააცნობენ. მეორე წელიწადს ნაწარმოებთა თხზვასა და წერას მოანდომებენ, ამასთან თანდათანობა იქმნება დაცული: ჯერ მოსწავლეებს თითო მოქმედებიან პიესებს დააწერინებენ, შემდეგ ორ, სამ და მეტ მოქმედებიანსაც. ეგზამენებისათვის პრემიები იქმნება დანიშნული, მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ თითო პიესა: კომედია ან დრამა. იმ პიესას, რომელსაც პრემიას მიუსჯავენ, შემდეგ საუკეთესო სცენაზედ წარმოადგენენ.

რას არ მოიგონებენ ეს ამერიკელები! აბა, სხვაგან სადმე, თუ არ ამერიკაში, განა შესაძლებელია, რომ მიცვალებულ კაცს ჯვარი დასწერონ? ამას წინად ნიუ-იორკში ერთი ახალგაზრდა მაღალის საზოგადოების ქალი მომკვდარა. სიკვდილის წინ

შეთა სარგებლის, რომელიც თავის მხრივ განიხილავს ამ პროექტს ბ ნ პოლიცმეისტერის თანდასწრებით.

⁂ როგორც სადგურ ხაშურიდგან გვატყობინებენ, 15 მარტს ბაქანიდგან კუნძების გადაზიდვის დროს მუშას ფილიპე რიჟანკოვს მარჯვენა ფეხი დაუშავებია.

წერილი ჩრდილოეთ-ოსეთიდგან

(კავკავის მაზრა)

ჩრდილოეთის ოსეთში (კავკავის მაზრაში) სულ ოც-და-ცხრა სამრევლოა მართლ-მადიდებელ ოსთა მცხოვრებლებისა. ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ჩრდილოეთის ოსეთში სულ ათი თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ ხარჯით აშენებული. მართალია მაშინდელი ოსები თავისს შვილებს ზემოხსენებულს სკოლებში ჰგზავნიდნენ, მაგრამ არა დიდის ხალისით, არამედ თითქმის საყვედურით; ერთი უბრალო შენიშვნა-საყვედური რომ მიეცა მასწავლებელს ბავშვის მშობლისათვის, შენს შვილს რად აცდენო და სხვა, საკმაო იყო, რომ მაშინვე ბავშვის მამას პირში მიეხალა: „თუ ძრიელ მადლობელი არ იქნები, აღარც კი გამოგგზავნი ჩემს შვილს, რად მინდა შენი სკოლა, როცა შენ საქმეს მიცდება ბავშვიო“. ასე მიდიოდა დრო, მაგრამ ზოგიერთა კეთილის შთამგონებლის წყალობით, ჩრდილოეთის მხრის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად-კი მას დღეს აქვთ, რაც ჩრდილოეთ ოსების სკოლის ინსპექტორად დაინიშნა დიდად პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი.

მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში, მაშინვე სოფლის ურიდობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა, თუ სწავლა-განათლებას რა მნიშვნელობა აქვს. ასე ექცეოდა მათი მეუფება ლეონიდი ოსებს ყოველს წელს, როცა-კი სკოლების სარევიზიოდ მობრძანდებოდა ხოლმე, სანამ ინსპექტორადა ბრძანდებოდა. კეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გამოიღო და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა.

სულ ხუთმეტიოდე წლის წინად თუ იმას ეუბნებოდა მასწავლებელს ჩრდილოეთის მცხოვრები ოსი: „თუ ძრიელ მადლობელიც არ იქნები, აღარც-კი გამოგგზავნი სკოლაში ჩემს შვილსაო“! დღეს სამაგიეროდ თავს აბეზრებს იმავე მასწავლებელსა და ეუბნება: „ჩემი შვილი მიიღე სკოლაში, მეც ამ სოფლელი ვარ; მიიღე ოღონდ და სწავლის ფასი თუნდა ერთი-ორად გადამახდევინეო“. ამიტომაც, რადგანაც ოსების სოფლებში ამის გამო ბევრჯელ უმაყოფილება ხდება, — არა ჩემი შვილი მიიღეთ, არა ჩემიო, ახლა ბავშვებს სკოლაში კენჭის ყრით იღებენ. როგორც ზევითაც მოგიხსენიეთ, ჩრდილოეთ ოსებში მართლ მადიდებელი ოსები სულ ოც და-ცხრა სამრევლოა. მათ შორის თორმეტი სამრევლო ბარად მცხოვრებია და ჩვიდმეტი მთაში მცხოვრები. ყველა ამ ზემოხსენებულს სოფლებში ამ ჟამად არსებობს სკოლა, რომელთ შორისაც თორმეტს სოფელს, გარდა ვაჟების სკოლისა, ქალების სკოლაც აქვთ და მასწავლებელი ქალიც ჰყავთ, (ზოგს სამრევლოში, გარდა სამრევლო ერთ და ორ კლასიან სკოლისა, ზედმიწერილ სოფლებში წერა კითხვის სკოლებიც არის) მომეტებული აქაური სოფლის სკოლები ორ კლასიანებია, სადაც ორ-ორი მასწავლებელი ჰყავთ, სადაც მეორე მასწავლებელს ჟამაგირს სოფელი აძლევს და სადგომ-სათბობსაც. ასე რომ, ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სოფლის სკოლებში, ორთა შუა რომ გაანგარიშოთ, წელიწადში 120—160 მოწაფე და ზოგან მეტიც სწავლობს, როგორც ვაჟები, ისე ქალები. ნებით-ქრისტიანის სოფელში 600 ქალ-ვაჟი სწავლობს. მიუხედავად ამისა, მაინც ვერა კმაყოფილდებიან და ყოველ წლობით სკოლებს უმატებენ, სწავლის სურვილი ყველას გაღვიძებული აქვს. ამასთანავე ყოველს ზამთრობით ოსების სოფლებიდგან ჩამოყვანილ ბავშვებით კავკავის გიმნაზია, რეალური და სხვა სასწავლებლები სავსებით სავსეა, ასე რომ ოსებს თავიანთი შვილები პეტერბურგში და სტავროპოლის გიმნაზიებშიაც-კი მიჰყავთ ხოლმე, რომ კავკავში ადგილები არა ჰყოფნით. არდონის ალექსანდრეს სამისიონერო სემინარიას ხომ ნუღარა ბრძანებთ, იმდენი მსურველია ოსთაგან ამ სემინარიაში შემსვლელი ყოველს წელს. ჰხედავთ ყოველსავე ამას, მკითხველო, და ერთის მხრივ ჰსიამოვნებ, რომ ჩვენი თანამოძმე ოსები ასე ჩქარის ნაბიჯით მიდიან წინ და არაფერს ჰზოგავენ, რომ თავისს შვილს სწავლა განათლება შესძინონ, და მეორის მხრივ-კი თითქოს გშურს და გეხარბება და ღმერთს შესთხოვ, რომ ჩვენმა ჩამორჩენილმა მხარეებმაც გამოიღვიძონ და სწავლის ძალა შეიგნონ და შეიყვარონ.

ჩრდილოეთის მთის ოსები ნივთიერად მდიდრები არ არიან, ათასობით ცხვრის ფარები არა ჰყავთ, როგორც, მაგალითებრ, ფშავლებსა და მოხევეებს, და არც მამული აქვთ ნაყოფიერი, რომ ამითი დაკმაყოფილებულნი იყვნენ. მომეტებული ნაწილი მთის ოსებისა ბარათა ჰხნავს, სთესავს, მოჰყავს სიმინდი და ამითი სცხოვრობს; ტყის უქონლობის გამო კიდევ ბევრგან წივასა სწვამენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქაურ მთის ოსებში ვერსად შეჰხვდებით ადგილს, გარდა ზაყისა, რომ ურმის გზა არ მიდიოდეს და ეს ურმის გზები სულ ყველა ხეობაში მთის ოსებმავე დააკეთეს თავისის ხარჯით. მაგალითებრ: სანების სამრევლომ 14,000 მან. გაიღო ხეობაში ურმის გზის გასაყვანად (კომლზედ 50 მან. გადაიხადეს); დარგავსისა და ქურთათის ხეობის სამრევლოთაც თითონ გააკეთეს თავიანთ მამასახლისების მეთაურობით; დიგორის ხეობის სამმა სამრევლომ 40,000 მან. გაიღო ურმის გზის გასაყვანად და სხ. ამიტომაც, წინად, გზების უვარგისობის დროს, მაზრის უფროსი და ბოქაული ამ მთის სოფლებში თუ წელიწადში ერთხელ-ორჯელ მიდიოდნენ, დღეს ესევე მთის მცხოვრებნი ორ-სამს თვეში ერთხელ მაზრის მმართველთა ჰხედავენ.

ამ რიგად, აქაური მთის ოსები დღეს თავისუფლად ეზიდებიან თავიანთს საზრდოსა და სხვანაირადაც ყველაფრით დაუახლოვდნენ ბარის ოსებს.

როგორც ჩრდილოეთ მთის ოსების ხეობები მქვს დავლილი, ისე ჩვენის მოძმე ფშავ-ხევსურეთის ხეობებიც მქვს დავლილი და, მერწმუნეთ, მკითხველო, რომ ფშავ ხევსურეთში ბევრით ადვილია ურმის გზის გაკეთება, ვიდრე ჩრდილოეთ მთის ოსებში. არც ადგილ მდებარეობით არიან ფშავ ხევსურებზედ მდიდრები; პირ-იქით, ფშავ-ხევსურეთთან შედარებით ღარიბნი არიან, მაგრამ, როგორც სკოლებისათვის, ისე გზების გაკეთებისათვის არას ჰზოგავენ, რადგანაც მათი სარგებლობა ახლა ყველას შეგნებული აქვს; შეიძლება ფშავ-ხევსურები ისე შეჩვეულნი იყვნენ თავიანთს უვარგისს გზებსა და ჯორ-სახედრებით საარულს, რომ ურმის გზას გაცილებით ერჩიოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ გულშემატკივარი და ჩამგონებელი უნდათ, რომელმაც უნდა შეაგნებინოს, რომ ურმის გზა ყველგან გზას გაუხსნის, ყველასთან დააახლოვებს, ცხოვრება გაუადვილდებათ და მაშინ არც არავინ მღვდელ მასწავლებელთაგანი დაიზარებს მათ შორის სამსახურს. ჩემის აზრით, გულშემატკივრობა-კი ამ შემთხვევაში უნდა გაუწიონ სხვებზედ მეტად დაახლოვებულებმა: მაზრის უფროსმა, ბოქაულმა და ადგილობრივმა სამღვდელოებამ. როცა ფშავ-ხევსურეთში ურმის გზები გაკეთდება, მაშინ, იმედია, სკოლაც შეუყვარდებათ და სწავლაც.

ქართველი ოსებში

უცხოეთი

ჩინეთი. „Times“-ის პეკინელ კორესპონდენტისათვის უთქვამს პრინცს ცინს, რომ რუსეთ მართლაც თანხმობა განუცხადებია თავისს მოთხოვნილებასა და უფლებაზედ მონღოლეთსა და ჩინეთის თურქესტანში უარი სთქვას. პრინცმა აღიარა, რომ ჩინეთი ამ მხრივ ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის მადლობელი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ის მუხლი პირობისა, რომლითაც რუსეთს რკინის გზის გაყვანისა, მადნების დამუშავებისა და ვაჭრობის უფლებას აძლევს, შეუცვლელად დარჩებაო. მეორე, შეცვლილს პირობის წერილში, რომლითაც რუსეთს ნება ეძლევა მანჯურიის რკინის გზის ლიანდაგიდგან ჩინეთის დიდ კედლამდე ახალი რკინის გზის ლიანდაგი გაიყვანოს, ნათქვამია კიდევ, რომ შანხაი-კვანსუ-ნიუ-ჩვანგის რკინის გზის პირობა, რომლითაც ახლა ჩინეთმა ერთს უცხოელს ამხანაგობას შეჰკრა,

---

უთხოვნია დედ მამისათვის, როდესაც სულს განვუტევებ, ამა და ამ კაცზედ ჯვარი დამწერეთო. დედ-მამას პირობა მიუცია და აუსრულებია კიდეც. ახალგაზდა ქალი ჰლექისაგან მომკვდარა და სიცოცხლეში ვერ მოუსწვრია საყვარელ კაცთან შეუღლება. რა წამსაც ქალი „ამა მაცდურ ქვეყანას განშორებია“, იმავე წამს დედმამას ეს კაცი დაუბარებია და განსვენებულის სურვილი გამოუცხადებია. იქვე ყოფილა მღვდელიც, რომელსაც ტყუილად დრო აღარ დაუკარგავს და ხელად ჯვარი გადაუწერნია ცოცხლისა და მიცვალებულისათვის.

საჭიროა მოვიხსენოთ, რომ განსვენებულს მთელი თავისი ქონება ანდერძით ყმაწვილ კაცისათვის დაუტოვებია. უთუოდ ამიტომ სტიროდა ქალის დასაფლავების დროს „ქვრივი“ გულ ამოსკვნითა და აფრქვევდა მდუღარე ცრემლებსა. მემკვიდრეებს ვერაფრად ეჭაშნიკათ თურმე ეს ანდერძი და უკვე შუამდგომლობა აღუძრავთ ანდერძის გაუქმებისა და „ქვრივის“ არა-ქვრივად ცნობის შესახებ.

* * *

უფრო გასაკვირველ ამბავს გადმოგვცემენ ამერიკული გაზეთები. ეს ამბავი ქალაქ ფიტსბურგში მომხდარა. რამდენისამე თვის წინად ამ ქალაქში მისულა ჰიპნოტიზიორი, „პროფესორი“ ფლინტი, რომელიც თავისს ოსტატობას მსურველთ თეატრში აჩვენებდა. ფლინტი შთაგონებით თითქმის ყველას აძინებდა და შემდეგ მძინარეს ალაპარაკებდა. ვერ დააძინა „პროფესორმა“ მხოლოდ ერთი ახალგაზდა კაცი, ვილლიამ სპინნეი. სპინნეის, წინადვე ჰიპნოტიზმით გატაცებულს, გულით უნდოდა დაეძინა და გამოეცადნა, რა ნაირ მდგომარეობაშია კაცი ამ დროს. მაგრამ როდესაც ვერაფერი გააწყო, ახალგაზდა კაცმა იფიქრა, მე თუ ვერ ვიძინებ, იქნება სხვაზედ მაინც ვიმოქმედო და დავაძინოო. და მართლაც ნაცნობებში ბევრნი დააძინა. სხვათა შორის, ქუჩაში ერთ ბავშვს შთააგონა, რომ ბალში ხარო, და ბავშვიც ცეკვა-თამაშს შეუდგა. ბოლოს სპინნეიმ სამსახურს თავი მიანება და სავსებით ჰიპნოტიზმს მიჰყო ხელი. ერთხელ, როდესაც მარტო იყო, სარკესთან დაჯდა, თავისს თავს დაუწყო ცქერა და ასე სცდილობდა თავის-თავის შთაგონებასა და დაძინებას. სპინნეის მეცადინეობამ მართლაც გასჭრა. დღემდე არ უწყოდნენ, თუ კაცს შეეძლო ჰიპნოტიზმის თავისს თავზედ ცდა და შთაგონება. ერთხელ სპინნეი ქალაქს გარედ ეგდო უგრძნობელი. მეორედ, შთაგონებით მოცულს, განუზრახავს ფანჯრის შუშაში გაძრომა, მესამედ კიდევ დაურწმუნებია თავისი თავი, რომ ქრისტეა, ამიტომ როდესაც ჰკითხეს, ვინა ხარო, მიუგო: მე ქრისტე ვარ, მივდივარ მამა-ღმერთის სანახავად, რომელიც აქვე მახლობელს სოფელში სცხოვრობსო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ავადმყოფს, დაუძლურებულს და დასუსტებულს სპინნეის სიარულიც-კი აღარ შეეძლო. ოთახში იწვა, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ყველაფერი ესმოდა, რასაც სხვა ოთახებში ლაპარაკობდნენ: ავადმყოფი ლოგინში იმეორებდა ყველაფერს, რასაც სხვა ოთახებში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ სპინნეის გამოღვიძება და გონზედ მოყვანა შეუძლებელიღაა. როგორც ვუწყით, შთაგონებით დაძინებულ კაცის გამოღვიძება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ეს კაცი დააძინა, სპინნეიმაც თვით უნდა მოიყვანოს თავისი თავი გონზედ.

* * *

ამ ბოლოს დროს მკურნალებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ჰიპნოტიზმს. იმის წყალობით მრავალ ავადმყოფს არჩენენ. მაგრამ ბევრგან ჰიპნოტიზმს ბოროტადაც იყენებენ. სასამართლოში არა ერთი და ორი კაცის საქმე განუხილავთ, რომელთაც დანაშაულობა სხვათა გავლენით, შთაგონებით ჩაუდენიათ. ამას წინად რუსული გაზეთები ძალიან ბევრსა სწერდნენ ერთის ამბის გამო. ახალგაზდა ქალი დაუძინებიათ, შემდეგ ძილში შთაუგონებიათ, წასულიყო ერთ ადგილას, სადაც ყმაწვილი კაცები სცხოვრობდნენ. ქალი მართლაც წასულა იქ თავისდა საუბედუროდ. ეს საქმე ეხლა სასამართლოში ირჩევა.

* * *

დღევანდელი ფელეტონი, თითქმის სულ ამერიკელებს მოვანდომეთ, ამიტომ უმჯობესი იქმნება დასასრულიც იმათვე ვუძღვნათ.

მკითხველებმა უკვე უწყიან, პრეზიდენტის არჩევნების დროს წარსულის წლის ნოემბერს მთელი ამერიკა როგორ შეიძრა, რა აურ-ზაური და ალიაქოთი გამოიწვია ამ ამბავმა. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ არჩევნების დამთავრებას და შედეგის შეტყობას. ამასთან ბევრი წინადვე სცდილობდა იმის გაგებას, ვის გააშავებენ და ვის გაათეთრებენ. ნაცნობები ერთმანეთს ენაძლევებოდნენ ამის თაობაზედ. სანაძლეოები არჩევნების დროს ძალიან არის მიღებული ამერიკაში. უკანასკნელი არჩევნების დროს დადებულ სანაძლეოების შესახებ დიდი წერილია ეხლა დაბეჭდილი გაზეთ „Strand Magarine“-ში.

ავტორი გადმოგვცემს, რომ სანაძლეოებს თვლა არა ჰქონდაო. 7 ნოემბერს, ე. ი. არჩევნების მეორე დღეს, ქუჩები სავსე იყო თურმე ხალხით. მრავალი ცნობის მოყვარე გამოსულიყო ქუჩებში სეირის საცქერად: ამ დღეს წაგებულნი ქუჩებში სასჯელს იხდიდნენ. როჩესტერში უმთავრეს ქუჩაზედ უზარმაზარმა პროცესსიამ გაიარა: ურმებსა და ეტლებში შებმულნი ბრაიანის მომხრენი (წაგებულნი) მაკ-კინლეის მომხრეებს დაასეირნებდნენ. წინ პროცესსიას მუსიკა მიუძღოდა და ხალხის ყურადღებას ერთი-ორად უფრო იქცევდა. ზოგან წაგებულ კაცს ძიძის ტანისამოსი ეცვა და ქუჩაში საბავშვო ეტლს მიათრევდა, რომელშიაც ზანგის ბავშვები ისხდნენ. პიტსბურგში ერთი ყმაწვილი კაცი, ცილინდრსა და სერთუკში გამოწყობილი, მთელი დღე ქუჩაში იდგა და ორმოსა სთხრიდა. ზოგან რესპუბლიკელები დემოკრატებს ზურგზედ შესხდომოდნენ და ამაყად დასეირნობდნენ ქუჩებში. ნიუ-იორკში რამდენიმე შეძლებული ყმაწვილი კაცი, აგრეთვე მდიდრულად გამოწყობილი, ხან ერთ ეზოში შედიოდა, ხან მეორეში და არღანს უკრავდა. ერთ წაგებულს არღანზედ შემდეგი წარწერა ჰქონდა: „მე სულელი სლანეი ვარ. იმდენად ტუტუცი გამოვდექი, რომ ბრაიანს დაუჭირე მხარი და არა მაკ-კინლეის“.

ზოგან ჯენტლმენები გამვლელ-გამომვლელთ ფეხსაცმელს უწმენდნენ, ზოგან კიდევ ქუჩებსა ჰგვიდნენ. ერთ მუზეუმში მთელი კვირა იყო ერთი წაგებული. როგორც უცხო რამ ნადირს, ისე აჩვენებდნენ მუზეუმში შემსვლელთ ამ კაცს. მეორე ორი კვირა კლოუნად იყო ცირკში; მესამემ მთელი ოთხი დღე დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გარედ ქუჩებში გაატარა, ღამეც-კი იქ გაათია. მაგრამ ყველაზედ მეტად ერთი წაგებული დაისაჯა. ეს კაცი კუბოში ჩასდეს და გათხრილ საფლავში ჩაუშვეს, მხოლოდ მიწა არ მიაყარეს ზედ. მთელი ღამე ამ კაცმა ცოცხლად საფლავში გაატარა.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთის წინანდელ თანხმობის დარღვევა არისო.

სხვათა შორის, პრინცთან ლაპარაკის დროს „Times“-ის კორრესპონდენტი ლი-ხუნგ-ჩანგის მიერ 1896 წელს რუსეთთან შეკრულს საიდუმლო პირობას თურმე შეეხო. ცინმა არ დამალა თურმე და უთხრა, რომ პირვანდელის პროექტით რუსეთმა ჩინეთს იაპონიის წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა; შემდეგ-კი თითონ ჩინეთმა მიჰმართა ხელახლად და სთხოვა, რომ ასეთივე დახმარება სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგაც აღმოეჩინა რუსეთს; მაგრამ რუსეთმა იმედი გაუმტყუნა და როდესაც გერმანიამ კიაო-ჩაუს დაჭერის შემდეგ დახმარებისათვის მივმართეთ, ყურიც არ გვათხოვაო.

— ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა რუსეთის დიდად უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ელჩმა რუსეთისამ პროვინციელ მოხელეთა დასჯაზედ უარი განაცხადა. „Times“ სწერს ამის გამო, რომ „რუსეთმა ნიღაბი ჩამოიხსნაო“. ამერიკისა, იაპონიისა და რუსეთის პატივისცემისათვის და დასაკმაყოფილებლად სასიკვდილოთ დასახელებულ ბრალდებულთა სია, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, შემცირებულ იქმნა. წინად თითონ რუსეთიცვე თხოულობდა, რომ სიაში დამნაშავე პროვინციელი მოხელენიც ჩაემატებინათ; ახლა-კი უცბად პირი იბრუნდა და გაიძახის, რომ დასასჯელი ვინც იყო, დაისაჯა, სხვების დასჯა უსამართლობააო. ინგლისურს გაზეთს, რასაკვირველია, არ სჯერა, რომ რუსეთს ეს კაცთ-მოყვარეობით მოსდიოდეს. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდეს იმით, რომ ჩინეთის შუაგულ რუსი მისსიონერები და სხ. ცოტანი არიან და იმდენად საშიში არა მთელით-რა, როგორც სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს; მაგრამ ეს ხომ მაშინ უარესია, რადგანაც დაამტკიცებს, რომ რუსეთის პოლიტიკა მხოლოდ თავისს საკუთარ სარგებლობას ეძებს და სხვა არასფერს. ყველაზედ მართალი-კი უფრო ის უნდა იყოს, რომ რუსეთს ჰსურს დაარღვიოს ევროპის თანხმობა და გული მოიგოს ლიხუნგ-ჩანგისა, რომელმაც ესოდენი რამ დაუთმო ჩინეთში. რუსეთი დღემდის მხოლოდ სასჯელისა გამო არა სთანხმდებოდა დანარჩენს სახელმწიფოებს; ამიერიდგან-კი, როგორც ეტყობა, განზრახვა აქვს სამხედრო საზღაურის შესახებაც იგივე უთანხმოება შეიტანოს და განსაკუთრებულს აზრს მიემხროს.

„Times“-ს სრული იმედი აქვს, რომ თუნდაც მხოლოდ გარეგან ერთობისათვის, სახელმწიფონი არასოდეს აღარ დაუთმობენ და თავისას გაიყვანენ. იმ დღიდგანვე შეიძლებოდა დაგვენახა, რომ საქმე ასრე წავიდოდა, რა დღიდგანაც მოლაპარაკებაში ლიხუნგ-ჩანგი ჩაერია, მაგრამ ეს გარემოება არც ისე ძნელი დასაძლევიაო. სახელმწიფოებმა გადაჭრით უნდა მოითხოვონ უთუოდ, რომ მათი პირობები სავსებით იქმნენ მიღებულნი. ინგლისსა და საფრანგეთს ამ შემთხვევაში სხვებზედ მეტი თავ-გამოდება ჰმართებთ, რადგანაც პირდაპირი მათი სარგებლობა მოითხოვს ამას; თუ რომ ინგლისი ამ შემთხვევაშიაც დაუთმობს რასმეს მხოლოდ თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ევროპის კონცერტის (თანხმობის) დარღვევა არ დასწამონ, მაშინ კი მისი გავლენა ჩინეთში სრულიად მოისპობა და დარწმუნდებიან ჩინელები, რომ რუსეთთან შედარებით ინგლისელები რაც სუსტნი არიან და რუსეთის ნება-დაურთველად თავიანთ ქვეშევრდომების დაცვა და მფარველობაც-კი არ შეუძლიათო“.

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

გენერალ ბოტასთან მოლაპარაკებამ უქმად ჩაიარა. ლორდმა სოლსბერმა ლორდთა პალატასა და ჩემბერლენმა საზოგადოებათა პალატაში ერთნაირად აუწყეს დეპუტატებს, რომ ბოტამ ლორდს კიტჩინერს უარი განუცხადა — არ შემიძლიან კიტჩინერის მიერ წარმოდგენილს პირობებს ჩემის მთავრობის ღრმა ყურადღება მივაქციოო, რადგანაც არც მთავრობა და არც დანარჩენი ჯარის უფროსები წარმოდგენილს პირობებს არ ეთანხმებიანო.

ამ მოლაპარაკების შესახებ ყველა საბუთის ქაღალდები პალატაში იქმნება წარდგენილი და გამოქვეყნებული მას შემდეგ, რაც მინისტრები რევიზიას უზმენ.

ეს არაფრად სასიამოვნო ამბავი პალატამ სამარისებურის იდუმალობით მიიღო: ყველა უკმაყოფილო და გამწარებული იყო. მოლაპარაკებას ინგლისისათვის მართლაც-და შესანიშნავი მარცხი მოჰყვა, რის იმედიც ინგლისელებს სრულიად არა ჰქონდათ.

ჯერ შარშანვე გაიძახოდნენ, რომ ბოტა მზად არის ბევრი რამ დასთმოს და შერიგებას ხელი შეუწყოს, რადგანაც ბრილიანტის მაღნებში დიდად დაინტერესებულიაო, მაგრამ, როგორც დღევანდელი გარემოება გვიჩვენებს, ყოველივე ეს დიდი სიცრუე და ცილისწამება ყოფილა: ბოტა დღესაც, ერთის წლის შემდეგ, დამოუკიდებლობის მოუნიშვნელად შერიგებას არა სთანხმდება, შეურყეველია. სამაგიეროდ, თუ ინგლისელებს შერიგებისა დიდი იმედი ჰქონდათ, კრიუგერის მახლობელნი მაინც არ იჯერებდნენ, თუ ეს შესაძლებელი იყო. მოჭორებულ ამბადა სთვლიდნენ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

ნიუ-იორკი. ფილიპინელების წინამძღოლი აგვინალდო ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს. ლოპეცმა უთხრა ერთ ჟურნალისტს, რომ ამის გამო ომი არ მოისპობა, სხვა წინამძღოლნი იარაღს არ დაჰყრიანო.

იოკაგამა. პირველმა მინისტრმა იტომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაწვრილებით ილაპარაკა პოლიტიკის შესახებ. „იაპონიამ, — სთქვა იმან, — ისეთ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ეხლა მას შეძლება აქვს თავისი ინტერესები თვით დაიცვას და ისე მოიქცეს, როგორც ამ მდგომარეობას შეეფერებაო“.

პეკინი. ფრანგებს აზრადა აქვთ გაიყვანონ რკინის გზა კალგანში. ეს გზა პირველი ნაწილი იქმნება ბაიკალის ტბამდე გასაყვან მონგოლიის რკინის გზისა. ამ კვირაში ფრანგებსა და ჩინელებს შორის ხეიაილთან უთუოდ შეტაკება მოხდება. ლი-ხუნ-ჩანგმა უბრძანა ჩინეთის სადამოენო გენერალს ჯილში წავიდეს, მაგრამ გენერალმა შეუთვალა, მაშინ წავალ, როდესაც მოსეულ ხალხს პროვინციიდგან გავაძევებო. ბალიუ დღეს გავიდა პეკინიდგან. იმან ნება აიღო იბრძოლოს, თუ საფრანგეთის ჯარს ჩინელები თავს დაესხმებიან. ხეიალში საფრანგეთის ჯარი 1500 კაცისაგან შესდგება, ჩინელებისა-კი, როგორც ამბობენ, 25,000 კაცისაგან. თუ ფრანგებმა გაიმარჯვეს, შანსიში მიმავალ მთავარ გზაზედ გაბატონდებიან და ხელთ ჩაიგდებენ იმაზედ უკეთეს გზას, ვიდრე ფოპინზედ მიმავალია, რომელიც ნემეცებმა ჩაიგდეს. შანსის მოუსვენარი გუბერნატორი ხეილიანი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან. შეიძლება ახალმა გუბერნატორმა შეტაკება თავიდგან აიცდინოს და ჩინეთის ჯარი სხვაგან გაჰგზავნოს.

პეკინი. ხმა დადის, რომ ნემცები და ფრანგები თავიანთ ჯარის დიდ-ნაწილს სამშობლოში გაჰგზავნიანო. ნამდვილად ცნობილია, რომ არც გერმანია და არც საფრანგეთი არ შეამცირებენ თავიანთ მეციხოვნეებს პოტინფუში, სადაც საზაფხულო ბანაკებია.

ბელგრადი. უკვე რამდენიმე დღეა მეფეს მოლაპარაკება აქვს ყველა დასის ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწეებთან; ამასთან საქმე, როგორც ეტყობა, კონსტიტუციას შეეხება. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ, ვიდრე საერო კრება საზოგადო საგნების განხილვას შეუდგება, შემოღებულ იქმნას სისტემა ორის პალატისა. სენატი დაახლოვებით 50 კაცისაგან იქმნება შემდგარი. ზოგ წევრებს მეფე დანიშნავს, ზოგს ამოარჩევენ, ზოგს კიდევ დანიშნავენ თავიანთ მდგომარეობის ძალით.

ლონდონი. როგორც „რეიტერის სააგენტოს“ გაუგონია, ვალდერზეე ტიანძინში ერთის ადგილის გამო ატეხილ დავის მხოლოდ სამხედრო მხარეს შეეხება. მას შემდეგ, რაკი ორსავე სახელმწიფოს სამხედრო დარაჯნი მოაშორეს ადგილს, უფლების შესახებ განხილვას შესაფერი მოხელენი შეუდგნენ. ამ საქმეში ვალდერზეეს არ შეუძლიან გარევა. საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ გადასწყვეტენ იმიტომ, რომ ჯერ საბუთის ქაღალდები უნდა განიხილონ და სხვა-და-სხვა მოხელეებს გამოჰკითხონ.

ვაშინგტონი. შეერთებულის შტატების მთავრობა აღარ აპირობს პროტესტის გამოცხადებას იმის გამო, რომ რუსეთმა მანჯურია დაიჭირა, თუმცა სხვა სახელმწიფოებმა გააფრთხილეს და აღნიშნეს, რომ მანჯურიის შეთანხმების დადებას უეჭველად ჩინეთის დანაწილება მოჰყვებაო. შეერთებულ შტატების ეს გარდაწყვეტილება ჩინეთის ელჩს ვუტინფანს ეუწყა.

ვაშინგტონი. სადიპლომატო წრეებში იმედი აქვთ, რომ შეთანხმებას მანჯურიის შესახებ დღეს ან ხვალ მოაწერენ ხელს, რადგანაც ისეთი არაფერია, რომ ხელის მოწერას ხელი შეუშალოს.

პეკინი. რუსეთის ელჩმა უკანვე გაჰგზავნა საიმპერატორო კარის დეპეშა, რომელშიაც ახალი წინადადებანია მანჯურიის შეთანხმების შესახებ, და ფორმალურად განაცხადა, რომ ვერ მივიღებ ამ წინადადებასო. ამავე დროს უკმაყოფილება განაცხადა ხელის მოწერის დაგვიანებისა და ახალ ცვლილებათა გამო.

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატების მთავრობამ პროტესტი განაცხადა დამოქნათა მთავარ დირექტორის ბრაუნის დათხოვნის გამო, რადგანაც დირექტორის დათხოვნა მავნებელია ამერიკის სავაჭრო ინტერესებისათვის.

დურბანი. როგორც იუწყებიან, დევეტი 400 კაცით ტრანსვაალის საზღვარს გადავიდა სტანდერტონიდგან 35 მილის მანძილზედ.

16 მარტი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა სახელმწიფო საბჭოს წევრს გენერალ-ლეიტენანტს თავად ვიაზემსკის პოლიციის მოქმედებაში ჩარევისათვის ქუჩებში მომხდარ უწესოების დროს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სპენსერი ჩინეთის საქმეთა ვითარების შესახებ შეეკითხა, ლანსდოუნმა მიუგო, რომ, რამდენადაც მე ვუწყი, ჩინეთში აღარავითარი ახალი მოძრაობა არ არისო. მთავრობას ჯერ არ შეუძლიან სთქვას, რომ ჩინეთის მთავრობამ მიიღო ერთობლივ ნოტის მოთხოვნილებანი იმდენად მტკიცედ, რომ შესაძლებელი იყოს ჯარის ჯაყვანა. მთავრობა ძალიანა სცდილობს მოლაპარაკების დაჩქარებას, მას იმედი აქვს რომ მალე შესაძლებელი შეიქმნება ჯარის გაყვანა ან ჯარის შემცირება მაინც. მოლაპარაკების საქმე წინ მიდის, თუმცა დინჯად, მაგრამ მთავრობა მაინც დანუგეშებულია იმით, რომ საპოლიტიკო საქმეების ზოგიერთ საფუძველთა შესახებ სახელმწიფოთა შორის ერთსულობა, რაიცა არც მაგდენად მოულოდნელი იყო. ეს საფუძვლიანი შემდეგია: ჩვენ ომი გვაქვს ჩინეთთან, მაგრამ არა გვსურს ამით ვისარგებლოთ და ჩინეთს მიწა ჩამოვაცალოთ; სავალდებულოდ ვცნობთ აწ არსებულ ხელშეკრულებათა დადგენილებებს; გვსურს დავადგეთ „ღია კარების“ პოლიტიკას; ხოლო თუ ზოგიერთ სახელმწიფოებს რაიმე უპირატესობა მიენიჭოთ, ამით სხვა სახელმწიფოებსაც უფლება ეძლევათ ამ გვარ უპირატესობათა მიღებისაო. ლანსდოუნმა შემდეგ დაწვრილებით ამბები გადასცა პალატას მოლაპარაკების შესახებ და სთქვა, რომ ელჩს სატოუს ებრძანა ზომიერად მოიქცეს თავის მოთხოვნილებებშიო. რაც შეეხება საკითხს საელჩოთა დარაჯის შესახებ, მთავრობას არა ჰსურს პეკინი ციხე-სიმაგრედ გადააქციოს; იგი მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ საელჩოთა დარაჯი საკმაო იყოს, საელჩოების დასაცველად განსაცდელისაგან. ჯილდოს შესახებ მთავრობა იმ აზრისაა, რომ უნდა დასჯერდნენ იმ ხარჯს, რაც ამ ომის დროს მოუვიდათ. მთავრობის პოლიტიკა იმასა სცდილობს, რომ დაიცვას შემდეგში ჩინეთის არსებობა, როგორც სახელმწიფოსი, და ეცადოს მეტად მძიმე ტვირთი არ დაედვას მას. შემოსავლის ერთი წყარო, საიდგანაც შეიძლება სამხედრო საზღაური იქმნას გარდახდილი, სადამოენო ბაჟია; მთავრობა ჰფიქრობს, შეიძლება ბაჟი დაედოს ზოგიერთ საქონელს, რომელიც დღეს თავისუფალია ბაჟისაგან. მაგრამ ბაჟის მომატების საქმეში მთავრობა ჰგრძნობს რომ, დიდი სიფრთხილეა საჭირო: თუ ბაჟი მეტად მოემატა, მაშინ ჯილდოდ შეიძლება რამდენიმე მილიონი მეტი იქმნას მიღებული, მაგრამ ამავე დროს შეიძლება შეფერხდეს ინგლისის ვაჭრობა. მთავრობას არა ჰსურს ისარგებლოს დღევანდელ შემთხვევით იმისათვის, რომ ჩინეთს შინაური რეფორმები მოახდენინოს“. როდესაც სპენსერი შეეკითხა ინგლის-გერმანიის შეთანხმების მანჯურიის საქმეში გამოყენების შესახებ, ლანსდოუნმა წაიკითხა შეთანხმების პირველი მუხლი და სთქვა, რომ ეს მუხლი ეხება მხოლოდ ჩინეთის იმ ნავთსადგურებს, რომლებიც მდინარისა და ზღვის ნაპირზედ მდებარეობენ და ჩინეთის ისეთ ადგილებს, რომელზედაც ორსავე სახელმწიფოს შეუძლიან გავლენა იქონიონ. „გავლენა მეტად რთული სიტყვაო“, შენიშნა მინისტრმა. როგორც პირველ დაწყებით მოლაპარაკების დროს მინისტრმა შეიტყო, გერმანიის მთავრობამ გააგებინა ინგლისს, რომ მანჯურია ისეთ ადგილს შეადგენს, სადაც მათ არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ. ეს მუხლი დიდის ყურადღების ღირსი არ არის, რადგანაც შეთანხმება სრულიად არა ზღუდავს სახელმწიფოთა უფლებებს ხელშეკრულობაში აღნიშნულ ნავთსადგურების სარგებლობის საქმეში. მანჯურიაში მხოლოდ ორია ასეთი ნავთსადგური, ნიუჩუანი და დალნი; რუსეთმა დაარწმუნა ინგლისი, რომ მას -ზრადა აქვს, ეს უკანასკნელი ნავთსადგურები ყველასათვის ღია გახადოს; რაც შეეხება პირველ ნავთსადგურს, ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ იგი ღია იქმნება ყველასათვის.

ბერლინი. იმპერატორ ალექსანდრეს სახელობის რაზმის ყაზარმებში გერმანიის იმპერატორმა აიღო ხელში ჭიქა, რომელზედაც სურათებია გამოხატული და სთქვა, რომ პრუსიის მეფეების სურათებთან ერთად არის აქ სურათები რუსთა იმპერატორებისა, როგორც რაზმის შეფებისა და ეს გარემოება ნიშანია სამეფო სახლთა დიდის ხნის მეგობრულ განწყობილებისაო.

პარიჟი. პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ ტიანძინში ატეხილ დავის მოსაგვარებლად, რუსეთისა და ინგლისის ჯარის უფროსებმა შემდეგი შეთანხმება დასდეს: გენერალი ბარროუ, ინგლისის ჯარის უფროსი აცხადებს: 1) რომ ინგლისელებს არ განუზრახავთ რუსეთის დროშათა შეურაცხება, რომ რუსთა მოსაზღვრე ნიშნები ინგლისის მოხელეთა ბრძანებით არ იქმნა აღებული; 2) დაწყებულ საქმეს არ განაგრძობენ იმ დრომდე, ვიდრე საკითხი საკუთრების უფლებათა შესახებ არ იქმნება მოგვარებული ორსავე მთავრობის შორის ან ვიდრე შეთანხმება არ იქმნება დადებული; 3) რომ ინგლისის დარაჯნი მოშორებულ იქმნენ. გენერალმა ვოგაკმა განაცხადა, რომ რუსეთის დარაჯნი აგრეთვე მოშორებულ იქმნებიან იმ წამსვე, რა წამსაც ინგლისის დარაჯებს მოაშორებენ ადგილს. პირობა შეჰკრეს იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა მოაშორონ დარაჯნი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Марта 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.